სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

07/09/2026

MES 2 26 0001165402

ბრძანება

თბილისი

სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„სამეცნიერო პოპულარული,შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 28 მარტის N85/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 7 სექტემბრის N1158782 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2026 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსი (შემდგომში კონკურსი).
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს პროექტის შესახებ კრებსითი ინფორმაციის ფორმა ამ ბრძანების დანართიN2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონსულტანტის თანხმობის წერილის, ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად; (ქართულ და ინგლისურ ენებზე)
7. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად; (ქართულ და ინგლისურ ენებზე)
8. დამტკიცდეს მატერიალურ - ტექნიკური ბაზისა და მისი გამოყენების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს საავტორო უფლებების შესახებ შეთანხმების ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს პროექტის გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის და ბიუჯეტის დასაბუთების ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
13. კონკურსის კოორდინატორად განისაზღვრონ ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტი ქეთევან გორგაძე. ფინანსურ კონსულტანტებად ფონდის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ზურაბ აბრამიშვილი და ფონდის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის სპეციალისტი ირაკლი იაშვილი ;
14. დაევალოს საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
15. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდაწ ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი

დანართი №1
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2026 წლის 7 სექტემბრის №1165402 ბრძანებით

2026 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. კონკურსის მიზანია ფართო საზოგადოებაში მეცნიერების პოპულარიზაცია: საქართველოს მეცნიერების შესახებ, სანდო წყაროებზე დაფუძნებული, სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნა; საქართველოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობების საერთაშორისო ასპარეზზე გატანა და მისი პოპულარიზაცია.
2. კონკურსის წესით გრანტი გაიცემა და დაფინანსდება სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი, სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების გადაღება, რის შედეგადაც პოპულარიზაცია გაეწევა და გაშუქდება ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული პოლიტიკური ისტორიის განვითარების საკვანძო თუ გარდამტეხი, თანამედროვე პერიოდისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები/ფაქტები.
3. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი).

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ პირთა ჯგუფს - ავტორთა და ადმინისტრაციის ჯგუფს - პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად. პარტნიორი ორგანიზაცია ვერ იქნება გრანტის მიმღები. ფიზიკურ პირთა ჯგუფი პასუხისმგებელია ფილმის გადაღებაზე.

2. პროექტს ახორციელებს **ფიზიკურ პირთა ჯგუფი პარტნიორ ორგანიზაციასთან** თანამშრომლობით.

3. პროექტს უნდა ჰყავდეს **პარტნიორი ორგანიზაცია** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომელსაც უნდა ჰქონდეს სრულმეტრაჟიანი ფილმების გადაღების/წარმოების მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება, აგრეთვე, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კონკურსში მონაწილეებს ასევე უნდა ჰქონდეთ ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებით გადაღებული ფილმების წარმოების გამოცდილება. პარტნიორი ორგანიზაცია არ არის გრანტის მიმღები;

4. ფიზიკურ პირთა ჯგუფი შედგება:

ა) **პროექტის ხელმძღვანელი/პროდიუსერისგან,** რომელიც არის უმაღლესი განათლების მქონე ფიზიკური პირი ავტორთა და ადმინისტრაციის ჯგუფიდან და პასუხისმგებელია საკონკურსო დოკუმენტაციის რეგისტრაციაზე/ატვირთვაზე, ფილმის წარმოებაზე, ფილმის შემდგომ საერთაშორისო მაყურებლამდე მიტანაზე;

ბ) **პროექტის რეჟისორისგან,** რომელიც არის ფიზიკური პირი ავტორთა და ადმინისტრაციის ჯგუფიდან და ხელმძღვანელობს ფილმის შექმნის მთელ შემოქმედებით და საწარმოო მუშაობას, ფილმის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრს;

გ) **სცენარის ავტორისგან,** რომელიც არის ფიზიკური პირი ავტორთა და ადმინისტრაციის ჯგუფიდან და ქმნის ფილმის სცენარს.

5. ფიზიკურ პირთა ჯგუფი უნდა შედგებოდეს მინიმუმ ორი ფიზიკური პირისაგან. ჯგუფში წარმოდგენილი უნდა იყოს ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული სამივე პოზიცია.

6. პროექტს შესაძლებელია ჰყავდეს **კონსულტანტი** - საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მუშაობს პროექტით გათვალისწინებული აქტივობების თემატიკაზე და პროექტის ფარგლებში კონსულტაციას გაუწევს ავტორთა და ადმინისტრაციის ჯგუფს.

7. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **თანადამფინანსებელი** – საქართველოში ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ფონდთან ერთად აფინანსებს პროექტს ფულადი სახით.

8. პროექტს შეიძლება ჰყავდეს **დამხმარე პერსონალი** - პირი, რომელიც ეხმარება ავტორთა და ადმინისტრაციის ჯგუფს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში.

9. ფილმის გამოსახულების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს კომპიუტერის სრული ეკრანის ფორმატს. მისაღებია ქვემოთ მოყვანილი ფორმატები, რომლებიც პრიორიტეტულობის მიხედვით არის დალაგებული: Blu-ray, HD, DVD, 4K, 2K.

10. ფილმის საბოლოო პროდუქტი ფონდს წარედგინება H.264 და AVI ფორმატის სახით.

11. სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმი გამიზნულია საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის წარსადგენად. ფილმის შინაარსი უნდა იყოს მაქსიმალურად გასაგები და იოლად აღსაქმელი. ფილმის, როგორც მხატვრული, ასევე ტექნიკური შესრულების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

12. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების დაცვით, გრანტის მიმღები, მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, ვალდებულია ხელი მოაწეროს უფლებების გადაცემის შესახებ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ფონდი გრანტის მიმღებთან ერთად გახდება ყველა უფლების მფლობელი 5 წლის ვადით.

13. გრანტის მიმღებს ეკრძალება პროექტის ფარგლებში შექმნილ ფილმზე არსებული განსაკუთრებული უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი ფორმით გადაცემა მესამე პირისათვის, ფილმის შექმნიდან 5 წლის განმავლობაში, ფონდის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

14. გრანტის მიმღები, მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, ვალდებულია ხელი მოაწეროს უფლებების გადაცემის დოკუმენტს ფონდთან, რომლის საფუძველზეც შემსრულებლის (გრანტის მიმღების) ყველა უფლება შესრულებულ პროდუქტზე გადაეცემა ფონდს 5 წლის ვადით.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს 1 წელს.

2. ფილმის ქრონომეტრაჟი არ უნდა იყოს 50 წუთზე ნაკლები.

3. კონკურსზე წარმოდგენილი თითოეული საკონკურსო განაცხადისათვის (პროექტისათვის) მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 200 000 ლარს.

4. დაფინანსება შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგი სახის ხარჯებს:

ა) ავტორთა, ადმინისტრირების საგრანტო დაფინანსებას;

ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას;

გ) ტექნიკისა და ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის, დაქირავების ხარჯებს;

დ) მივლინებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ე) საწვავის ხარჯს;

ვ) სხვა ხარჯს;

ზ) პოსტწარმოების ხარჯს;

თ) გაუთვალისწინებელ ხარჯებს, არაუმეტეს წარმოების ხარჯების 3 %-ისა.

5. გრანტის თანხა ჩაირიცხება პროექტის ხელმძღვანელის/პროდიუსერის მიერ წარმოდგენილ მიზნობრივ ანგარიშზე.

6. პროექტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს თანადაფინანსებას, დამატებით ფინანსური წყაროს სახით იურიდიული/ფიზიკური პირის მხრიდან.

7. დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის და მობილური ტელეფონის შეძენა.

8. პროექტის დასრულების შემდეგ შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ პირებს, მათ შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად.

9. პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება ტრანშის სახით. გრანტის თანხა გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ ანგარიშზე ავანსის სახით.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის ხელმძღვანელმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

ა) კრებსითი ინფორმაცია საკონკურსო განაცხადის შესახებ (დანართი №2, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას);

ბ) საპროექტო წინადადება (დანართი №3, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის ფორმით);

გ) პროექტის ფიზიკურ პირთა ჯგუფის წევრების (პროექტის ხელმძღვანელი/პროდიუსერი; პროექტის რეჟისორი, სცენარის ავტორი) პროფესიული ბიოგრაფიები ქართულად (დანართი №4, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის ფორმით);

დ) პროექტის კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი (დანართი №5, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის ფორმით); უცხოელი კონსულტანტის შემთხვევაში, თანხმობის წერილი ნათარგმნი და დამოწმებული უნდა იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ე) პროექტის კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფია ქართულად (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის ფორმით პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისას);

ვ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის ან ფიზიკური პირის მიერ დადასტურებული. სავალდებულოა, ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა.

ვ.ა) იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი №6-ის ფორმით, დამოწმებული თანადამფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და

ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის ფორმით) თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ვ.ბ) ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი №6-ის ფორმით, დამოწმებული თანადამფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის ფორმით.) თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ზ) პარტნიორი ორგანიზაციის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ორგანიზაციის მიერ სრულმეტრაჟიანი ფილმების გადაღების/წარმოების მიმართულებით მინიმუმ **სამწლიანი** გამოცდილება. გამოცდილება დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით/დოკუმენტებით, მათ შორის: გაფორმებული ხელშეკრულებით/ხელშეკრულებებით, შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტით/აქტებით ან ორგანიზაციის 2026 წელს გაცემული ცნობით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ამავე ორგანიზაციის მიერ წარმოებული სრულმეტრაჟიანი ფილმების დასახელებები და ქრონომეტრაჟი, წარმოების წლები და შესაბამისი ფილმების ბმულები. ცნობა დამოწმებული უნდა იყოს ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის ფორმით;

თ) პარტნიორი ორგანიზაციის ცნობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროექტში მისი გამოყენების შესახებ. ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან ფონდის მიერ დამტკიცებული დანართი №7-ის ფორმით, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის ფორმით;

ი) ფიზიკურ პირთა ჯგუფის მიერ პროექტის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული შეთანხმება საავტორო უფლებების შესახებ. შეთანხმების მიხედვით დასტურდება, რომ განმცხადებელი და ფონდი არის კანონიერი მფლობელი ყველა იმ საავტორო უფლებისა, რომელიც ფილმში იქნება გამოყენებული. წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი №8-ის ფორმით, დამოწმებული პარტნიორი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირისა და პროექტის განმახორციელებელ ფიზიკურ პირთა ჯგუფის წევრების ხელმოწერებითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის ფორმით;

კ) პროექტის გეგმა-გრაფიკი (დანართი №9, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას);

ლ) პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (დანართი №10, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას);

მ) პროექტის ხელმძღვანელი/პროდიუსერის **უმაღლესი განათლების** დამადასტურებელი დოკუმენტი. საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. (იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტის ფორმით);

ნ) პარტნიორი ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი - (წესდება/დებულება). ა(ა)იპ-ისა და შპს-ის შემთხვევაში ასევე საჭიროა ამონაწერი საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (2026 წლის მდგომარეობით); ხოლო სსიპ-ის შემთხვევაში - დაფუძნების დოკუმენტი;

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა მატერიალური ფორმით უნდა წარმოადგინონ:

ა) ფიზიკურ პირთა ჯგუფის წევრებისა და პარტნიორი ორგანიზაციის ერთობლივი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი №11, გენერირდება GMUS-ით); დამოწმებული ფიზიკურ პირთა ჯგუფის ყველა წევრისა და ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერებით, ასევე ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) განცხადებაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის ხელმოწერის არ არსებობის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთვოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილის ხელმოწერილი ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურში მონაწილეობაზე;

3. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) ფიზიკური პირის (პროექტის ხელმძღვანელის/პროდიუსერის) მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტი - ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში, ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ ირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ საგრანტო საბანკო ანგარიშის მფლობელ ფიზიკურ პირს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე (2026 წლის მდგომარეობით);

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ქართული თარგმანი.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით, ქართულ ენაზე.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია - 2026 წლის 9 სექტემბრიდან 30 სექტემბრის 18:00 საათამდე;

ბ) პროექტის ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია - 2026 წლის 7 ოქტომბრის 18:00 საათამდე.

2. ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსის პირობებით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსებას, მოთხოვნილი დოკუმენტების ატვირთვასა და პროექტის გადაგზავნას (ე.წ. Submit) ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე: http://gmus.rustaveli.org.ge. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისათვის სავალდებულოა:

ა) **პარტნიორი ორგანიზაციის რეგისტრაცია** - GMUS-ში „ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა და შემდეგი დოკუმენტების ატვირთვა: პარტნიორი ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი - (წესდება/დებულება). ა(ა)იპ-ისა და შპს-ის შემთხვევაში ასევე საჭიროა ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (2026 წლის მდგომარეობით); ხოლო სსიპ-ის შემთხვევაში - დაფუძნების დოკუმენტი;

ბ) **ფიზიკურ პირთა ჯგუფის წევრების რეგისტრაცია** - თითოეული მათგანისათვის GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ შექმნა და შესაბამისი მონაცემების შევსება; ასევე, პროექტის ხელმძღვანელის/პროდიუსერის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ატვირთვა (დიპლომი). საქართველოს მოქალაქე

პირებისათვის, თუ აღნიშნული დოკუმენტი უცხო ქვეყნის მიერ არის გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს ამ დოკუმენტის ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება.

იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე არის პროექტის ხელმძღვანელი, მის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტს უნდა ახლდეს ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და მისი აკადემიური ხარისხი უნდა დასტურდებოდეს იმ ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდით/ცნობით რომელშიც ის მოღვაწეობს.

გ) **პროექტის რეგისტრაცია** - კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსება და მოთხოვნილი დოკუმენტების ატვირთვა GMUS-ის შესაბამის ველებში.

3. პროექტის ხელმძღვანელი/პროდიუსერი პასუხისმგებელია, რომ საკონკურსოდ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია, არ შეიცავს ყალბ მონაცემებსა და პლაგიატის ელემენტებს.

4. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების მატერიალური ფორმით წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში.

5. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში მატერიალური ფორმით წარმოდგენილი აქვს შესაბამისი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.

6. დადგენილი ვადის დარღვევით ან/და არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში პროექტები საკონკურსოდ არ განიხილება.

მუხლი 6. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. გრანტის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კონკურსის წესით. კონკურსს აცხადებს და ადმინისტრირებას უწევს ფონდი ამ წესითა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით.

2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენას; კონკურსის პროგრამისა და პირობების, პროექტის ფორმების, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების ანგარიშების ფორმების შემუშავებასა და დამტკიცებას;

ბ) კონკურსის გამოცხადებას;

გ) კონკურსში რეგისტრირებული პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზას, რაც გულისხმობს წარმოდგენილი პროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენას კონკურსის პირობებთან;

დ) პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების უზრუნველყოფას;

ე) საკონკურსო კომისიის მიერ, შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასებული პროექტების რანჟირებული სიების მიხედვით, გამოვლენილი გამარჯვებული პროექტების დამტკიცებას;

ვ) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას და დაფინანსებას;

ზ) საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგს.

3. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით - 7 სექტემბერი;

ბ) ჯგუფური ონლაინ კონსულტაციები - ზუსტი თარიღი და დრო გამოქვეყნდება ფონდის ვებგვერდზე;

გ) საკონკურსო განაცხადების ელექტრონული რეგისტრაცია - 9 სექტემბრიდან 30 სექტემბრის 18:00 საათამდე;

დ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია - 7 ოქტომბრის 18:00 საათამდე;

ე) წარმოდგენილი პროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა კონკურსის პირობებთან (ტექნიკური ექსპერტიზა) - ოქტომბერი;

ვ) შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია კონკურსის პირობების დარღვევით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების მოხსნის შესახებ - ოქტომბერი-ნოემბერი;

ზ) კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ და გამარჯვებულების გამოვლენა - ნოემბერი-დეკემბერი;

თ) გამარჯვებული საკონკურსო განაცხადების დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ და კონკურსის შედეგების საჯარო გამოცხადება ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - ნოემბერი-დეკემბერი;

ი) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება - ნოემბერი-დეკემბერი.

მუხლი 7. პროექტების შეფასების პროცედურა

1. ფონდი უზრუნველყოფს პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას.

2. ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საკონკურსო კომისიას და ადგენს მისი მუშაობის წესს.

3. საკონკურსო კომისია პროექტებს აფასებს სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 28 მარტის №85/ნ ბრძანების მე-14 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ადგენს პროექტების რანჟირებულ სიას და გამოავლენს გამარჯვებულებს.

4. საკონკურსო კომისია პროექტებს აფასებს დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად, საკუთარი ცოდნისა და შეხედულებების შესაბამისად.

5. გენერალური დირექტორი ამტკიცებს საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლენილ გამარჯვებულ პროექტებს.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. გამარჯვებული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცების შემდგომ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას.

2. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე გრანტის მიმღები ფონდს წარუდგენს წერილობით დადასტურებას იმის შესახებ, რომ არა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება და არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.

მუხლი 9. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. ფონდი გრანტის მიმღების მიერ შესაბამისი ანგარიშების წარდგენის საფუძველზე, ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს, საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.
3. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგის შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას. ფონდი უფლებამოსილია, პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები.
4. წარმოდგენილი ანგარიშის განხილვისას საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა.
5. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება პროექტის ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას; „ტექნიკისა და ტექნიკური აღჭურვილობა (შეძენა დაქირავების)“, „მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯის“, „საწვავის ხარჯის“, „სხვა ხარჯის“, „პოსტწარმოების ხარჯის“ ხარჯვით კატეგორიებს შორის და ხარჯვითი კატეგორიების შიგნით თანხების გადანაწილების ცვლილება და აღნიშნული ხარჯვითი კატეგორიების რომელიმე ჩანაწერის ანულირება არ საჭიროებს ფონდთან შეთანხმებას, თუ აღნიშნული ცვლილება არ გულისხმობს ახალი ჩანაწერის დამატებას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება პროექტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯი (გარდა მე-3 მუხლის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე აღიარებული ხარჯისა). აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) ნაშთად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება ხაზინის შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. ფონდი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტს გრანტის მიმღების გრანტით დაფინანსებას (შესაბამისად, შეწყდება პროექტი), თუ: გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულია ან/და ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია.

2. გრანტის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის ურთიერთობები რეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად.

3. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხარეებს შორის გაფორმებულია შედარების აქტი (მხარეებს შორის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შესახებ) და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღების მიერ

1. გრანტის მიმღები ვალდებულია საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროექტის შედეგების ამსახველ გამოცემებში მიუთითოს, რომ პროექტი განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number …]“.

2. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით“.

3. საგრანტო პროექტის შესახებ სოციალურ მედიაში ინფორმაციის გავრცელებისას სავალდებულოა გამოყენებული იყოს „ჰაშტაგები“: #SRNSFG ან #რუსთაველისფონდი ან #რუსთაველისგრანტი.

4. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში განათავსოს ფონდის ვებგვერდებზე.

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)
პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ

I გვერდი
ზოგადი ინფორმაცია

1	პროექტის სათაური (ქართულად)	
2	Project title in English	
3	პროექტის ხანგრძლივობა	ერთი წელი
4	საპროექტო წინადადება	PDF ფაილის ატვირთვა

II გვერდი

ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციის შესახებ		
1	საიდენტიფიკაციო კოდი	
2	დასახელება	
2	ხელმძღვანელი	
3	თანამდებობა	
4	ვებგვერდი	
5	ელ.ფოსტა	
6	ტელეფონი	
7	მისამართი	
8	იურიდიული სტატუსი	
9	გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი	PDF ფაილის ატვირთვა
10	შეთანხმება საავტორო უფლებების შესახებ	PDF ფაილის ატვირთვა
11	ცნობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროექტში მისი გამოყენების შესახებ	PDF ფაილის ატვირთვა

ინფორმაცია თანადამფინანსებელი იურიდიული/ფიზიკური პირის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
1	თანადამფინანსებელი იურიდიული პირი	
2	თანადამფინანსებელი იურიდიული პირის მისამართი	
3	თანადამფინანსებელი იურიდიული პირის იურიდიული სტატუსი	
4	თანადამფინანსებელი იურიდიული პირის ცნობა თანადაფინანსების შესახებ (GEO)	PDF ფაილის ატვირთვა
5	თანადამფინანსებელი იურიდიული პირის ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ENG)	PDF ფაილის ატვირთვა

6	თანადამფინანსებელი ფიზიკური პირი (სახელი, გვარი)	
7	თანადამფინანსებელი ფიზიკური პირის ტელეფონის ნომერი	
8	თანადამფინანსებელი ფიზიკური პირის ელ.ფოსტა	
9	თანადამფინანსებელი ფიზიკური პირის ცნობა თანადაფინანსების შესახებ (GEO)	PDF ფაილის ატვირთვა
10	თანადამფინანსებელი ფიზიკური პირის ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ENG)	PDF ფაილის ატვირთვა

III გვერდი
ფიზიკურ პირთა ჯგუფი

შენიშვნა: პროექტის ხელმძღვანელი/პროდიუსერი დაამატეთ ძირითად პერსონალშიც

პროექტის ხელმძღვანელი/პროდიუსერი	
პირადი ნომერი	
სრული სახელი	
ელ-ფოსტა	
ტელეფონი	

2. ინფორმაცია ფიზიკურ პირთა ჯგუფის შესახებ

№	პირადი ნომერი	სახელი, გვარი	პოზიცია პროექტში	სქესი	CV (GEO)
1			პროექტის ხელმძღვანელი/პროდიუსერი		PDF ფაილის ატვირთვა
2			პროექტის რეჟისორი		PDF ფაილის ატვირთვა
3			სცენარის ავტორი		PDF ფაილის ატვირთვა

3. ინფორმაცია პროექტის კონსულტანტის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
Information about foreign advisor (if applicable)

1	სახელი, გვარი	
2	ინსტიტუცია	
3	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
	Letter of commitment	PDF file upload
4	პროფესიული ბიოგრაფია (CV)	PDF ფაილის ატვირთვა

3. ინფორმაცია დამხმარე პერსონალის შესახებ

№	პოზიცია პროექტში
1	
2	
3	

IV გვერდი
გეგმა-გრაფიკი

ივსება GMUS-ში

V გვერდი
ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება

ივსება GMUS-ში

2026 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსი

საპროექტო წინადადება

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ფილმის სახელწოდება (ქართულად)	
პროექტის ხანგრძლივობა	1 წელი

1. ფილმის სინოპსისი/კონცეფცია

მოკლედ აღწერეთ ფილმის ძირითადი იდეა, შინაარსი, მიზანი და თემის წარმოჩენის ძირითადი მიმართულება.

2. ფილმის სცენარი (იდეა/თემა)

წარმოადგინეთ ფილმის სიუჟეტური განვითარება, ძირითადი თემები, საკვანძო საკითხები და მათი ფილმში წარმოჩენის ფორმა.

3. საკითხის აქტუალობა

დაასაბუთეთ შერჩეული ისტორიული მოვლენის/თემის აქტუალობა თანამედროვე პერიოდისათვის და განმარტეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი მისი შესწავლა, გაშუქება და ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა.

4. რეჟისურა

აღწერეთ რეჟისორის ხედვა, შემოქმედებითი მიდგომა და მოტივაცია, ასევე ფილმის ვიზუალური და სტილისტური გადაწყვეტა.

5. პროდიუსერის ხედვა/ მოტივაცია

აღწერეთ ფილმის წარმოების, ორგანიზებისა და მართვის ხედვა, ასევე ფილმის გავრცელების, დისტრიბუციისა და საერთაშორისო აუდიტორიამდე მიტანის კონკრეტული მექანიზმები.

6. ფილმის გადამღები ჯგუფის (ავტორები) კვალიფიკაცია

აღწერეთ ფილმის გადამღები ჯგუფის წევრების კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და კომპეტენცია და დაასაბუთეთ მათი შესაბამისობა პროექტის მიზნებსა და ამოცანებთან.

7. ფილმის მოსალოდნელი შედეგი

აღწერეთ ფილმის მოსალოდნელი ძირითადი შედეგები და დაასაბუთეთ, როგორ შეუწყობს ხელს ფილმი პროგრამის მიზნების მიღწევას.

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ფილმის გეგმა-გრაფიკი (დანართი 9) და ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (დანართი 10) ივსება GMUS-ის შესაბამის ველებში და წარმოადგენს პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს.

დანართი №4
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 7 სექტემბრის №1165402 ბრძანებით

პროფესიული ბიოგრაფია

იტვირთება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System) პროექტის რეგისტრაციის დროს

პერსონალური ინფორმაცია

სახელი, გვარი	
მობილური ტელეფონი	
ელ-ფოსტა	

განათლება

წელი	ინსტიტუცია

პროფესიული გამოცდილება

წელი	შესრულებული სამუშაო

ნომინაციები/პრიზები/ნამუშევრების ბმულები

წელი	

Annex 5

Science Popularization Film Production Grant Call

Information about the project	
Project title	
Project Manager/Producer (Name, Surname)	
Partner Organization	

Information about advisor

Advisor's Name, Surname	
Qualification	
Position	
Affiliation (Institution)	
City, Country	

Letter of Personal Commitment

Please provide detailed description of your role in the project.[1]

[2]**Signature:**

[3]**Date:**

[1] To be completed by advisor
[2] Mandatory
[3] Mandatory

დანართი №5
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 7 სექტემბრის №1165402 ბრძანებით

სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსი

ინფორმაცია პროექტის შესახებ	
პროექტის სათაური	
პროექტის ხელმძღვანელი/პროდიუსერი (სახელი, გვარი)	
პარტნიორი ორგანიზაცია	

ინფორმაცია კონსულტანტის შესახებ	
კონსულტანტის სახელი, გვარი	
კვალიფიკაცია/სპეციალობა	
პოზიცია	
აფილიაცია (ინსტიტუცია)	
ქალაქი, ქვეყანა	

თანხმობის წერილი

[1]დეტალურად აღწერეთ თქვენი როლი პროექტში.

[2]ხელმოწერა:

[3]თარიღი:

[1] ივსება კონსულტანტის მიერ
[2] სავალდებულო
[3] სავალდებულო

Science Popularization Film Production Grant Call

Information about the project	
Project title	
Partner Organization	

Letter of Co-funding commitment

Co-funding legal/ natural person	ID Code / ID Number	Co-funding period	Co-funding Sum (GEL)	Co-funding Sum (in a foreign currency)

(Please define the purpose of co funding)

Signature of the authorized person[1]:

Organization stamp[2]:

Date:

[1] Mandatory
[2] If applicable

დანართი №6
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 7 სექტემბრის №1165402 ბრძანებით

2026 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსი

ინფორმაცია პროექტის შესახებ	
პროექტის სათაური	
პარტნიორი ორგანიზაციის სახელწოდება	

ცნობა თანადაფინანსების შესახებ

თანადამფინანსებელი იურიდიული/ ფიზიკური პირი	საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი	დაფინანსების პერიოდი	თანადაფინანსების თანხა ლარში	თანადაფინანსების თანხა უცხოურ ვალუტაში

(გთხოვთ, მიუთითოთ თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა)

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა[1]:

ორგანიზაციის ბეჭედი[2]

თარიღი:

[1] სავალდებულო
[2] ასეთის არსებობის შემთხვევაში

დანართი №7
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 7 სექტემბრის №1165402 ბრძანებით

2026 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსი

პროექტის სათაური	
პროექტის ხელმძღვანელის/პროდიუსერის სახელი, გვარი	

ცნობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მისი გამოყენების შესახებ

პარტნიორი ორგანიზაცია	
ორგანიზაციის ხელმძღვანელი (უფლებამოსილი პირი)	

ვადასტურებ, რომ პროექტის პარტნიორი ორგანიზაცია ფლობს ფილმის გადაღებისა და წარმოებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და ვაცხადებ თანხმობას, რომ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის 2026 წლის საგრანტო კონკურსის მონაწილე ზემოთ აღნიშნული პროექტის გამარჯვების შემთხვევაში, პროექტის განმახორციელებელ ფიზიკურ პირთა ჯგუფის წევრებს პროექტის განხორციელების პროცესში ექნებათ უფლება, ისარგებლონ პროექტის პარტნიორი ორგანიზაციის შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით:

1.
2.
3.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა[1]:

ორგანიზაციის ბეჭედი[2]:

თარიღი:

[1] სავალდებულო
[2] ასეთის არსებობის შემთხვევაში

დანართი №8
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 7 სექტემბრის №1165402 ბრძანებით

2026 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსი

შეთანხმება საავტორო უფლებების შესახებ

პროექტის სათაური (ქართულად)	

პროექტის ხელმძღვანელი/პროდიუსერის პირადი ნომერი		ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი/პროდიუსერის სახელი, გვარი)		

სცენარის ავტორის პირადი ნომერი		ხელმოწერა
სცენარის ავტორის სახელი, გვარი		

რეჟისორის პირადი ნომერი		ხელმოწერა
რეჟისორის სახელი, გვარი		

პარტნიორი ორგანიზაციის სახელწოდება		ხელმოწერა
პარტნიორი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი		
ორგანიზაციის ხელმძღვანელი (უფლებამოსილი პირი)		

ხელმომწერი პირები ვთანხმდებით, რომ განმცხადებელი ფიზიკურ პირთა ჯგუფი და ფონდი არის კანონიერი მფლობელი ყველა იმ საავტორო უფლებისა, რომელიც ფილმში იქნება გამოყენებული.

თარიღი:

ორგანიზაციის ბეჭედი[1]

[1] ასეთის არსებობის შემთხვევაში

დანართი №9
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 7 სექტემბრის №1165402 ბრძანებით

პროექტის გეგმა-გრაფიკი

პროექტის შიფრი

პროექტის ხელმძღვანელი

გრანტის მიმღები პროექტის ფიზიკურ პირთა ჯგუფი

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

შედეგი	*ხანგრძლივობა (დღე)*
ფილმი	365

შენიშვნა

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა შეადგენს 1 წელს

2. ფილმის ქრონომეტრაჟი არ უნდა იყოს 50 წუთზე ნაკლები.

3. ფილმის გამოსახულების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს კომპიუტერის სრული ეკრანის ფორმატს. მისაღებია ქვემოთ მოყვანილი ფორმატები, რომლებიც პრიორიტეტულობის მიხედვით არის დალაგებული: Blu-ray, HD, DVD, 4K, 2K.

4. ფილმის საბოლოო პროდუქტი დამკვეთს/ფონდს წარედგინება H.264 და AVI ფორმატის სახით.

დანართი №10
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 7 სექტემბრის №1165402 ბრძანებით

პროექტის ბიუჯეტი

წარმოების ხარჯი	**ერთეული**	**ხანგრძლივობა დღე**	**ანაზღაურება ერთი დღე**	**სულ ანაზღაურება**
ავტორთა და ადმინისტრაციის ჯგუფის საგრანტო დაფინანსება;				**-**
პროდიუსერი;				-
სცენარის ავტორი;				-
რეჟისორი;				-
				-
				-
				-
დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება (ტექნიკური ჯგუფი);				**-**
რეჟისორის ასისტენტი;				-
ოპერატორი;				-
ასისტენტი;				-
დრონის ოპერატორი:				-
ხმის ინჟინერი;				-
გამნათებელი;				-
მძღოლი;				-
კონსულტანტი;				-
სხვა;				-
ტექნიკისა და ტექნიკური აღჭურვილობა (შეძენა დაქირავება);				**-**
კამერა;				-
დრონი;				-
ლინზები;				-
განათება;				-
ხმის ჩამწერი;				-
სტაბლიზატორი;				-
ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავება;				-
სხვა;				-
მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯი;				**-**
				-
საწვავის ხარჯი;				**-**
ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის;				-
გენერატორისათვის;				-
სხვა ხარჯი;				**-**
ოფისის იჯარის ხარჯი;				-
საკომუნიკაციო ხარჯი;				-
საკანცელარიო საქონლის ხარჯი;				-
იურისტის შრომის ანაზრაურება				-
ბულალტრის შრომის ანაზღაურება				-
სხვა;				-
პოსტწარმოების ხარჯი;				**-**
მონტაჟი				-
ხმა				-
მუსიკა				-
გრაფიკა				-
წარმოების ჯამი;				**-**
გაუთვალისწინებელი ხარჯი 3%				
ჯამი;				**-**

შენიშვნა:
1. გაუთვალისწინებელი ხარჯი არაუმეტეს წარმოების ხარჯის 3%-ისა
2. მიუთითეთ "სხვა" ქვემუხლებში შესყიდვების/მომსახურების ჩამონათვალი, რაოდენობა და თანხები

ბიუჯეტის დასაბუთება

წარმოების ხარჯი	ღირებულება	ტექნიკური აღწერა
ავტორთა და ადმინისტრაციის ჯგუფის საგრანტო დაფინანსება;	-	-
პროდიუსერი;		
სცენარის ავტორი;		
რეჟისორი;		
დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება (ტექნიკური ჯგუფი);	-	-
რეჟისორის ასისტენტი;		
ოპერატორი;		
ასისტენტი;		
დრონის ოპერატორი:		
ხმის ინჟინერი;		
გამნათებელი;		
მძღოლი;		
კონსულტანტი;		
სხვა;		
ტექნიკისა და ტექნიკური აღჭურვილობა (შეძენა დაქირავება);	-	-
კამერა;		
დრონი;		
ლინზები;		
განათება;		
ხმის ჩამწერი;		
სტაბლიზატორი;		
ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავება;		
სხვა;		
მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯი;	-	-
საწვავის ხარჯი;	-	-
ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის;		
გენერატორისათვის;		
სხვა ხარჯი;	-	-
ოფისის ოჯარის ხარჯი;		
საკომუნიკაციო ხარჯი;		
საკანცელარიო საქონლის ხარჯი;		
იურისტის შრომის ანაზრაურება		
ბუღალტრის შრომის ანაზღაურება		
სხვა;		
პოსტწარმოების ხარჯი;	-	-
მონტაჟი		
ხმა		
მუსიკა		
გრაფიკა		
წარმოების ჯამი;	-	-
გაუთვალისწინებელი ხარჯი 3%		
ჯამი;	-	-

დანართი №11
გენერირდება GMUS-ით

SPF_2026

სარეგისტრაციო შიფრი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2026 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 28 მარტის N85/ნ ბრძანებას ,,სამეცნიერო, პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“, აგრეთვე, სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის აგვისტოს №1165402 ბრძანებას სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ, პროექტების შეფასების მეთოდს და ხელმოწერით ვაცხადებთ კონკურსის პირობებზე თანხმობას. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთან, ვადასტურებთ, რომ კონკურსის მონაწილეებს აქვთ ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებით გადაღებული ფილმების წარმოების გამოცდილება. ასევე, პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვადასტურებ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობასა და პროექტისათვის მის გამოყენებას.

პროექტის განმახორციელებელი ფიზიკურ პირთა ჯგუფი იღებს პასუხისმგებლობას, რომ 2026 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი პროექტი ან პროექტის ნაწილი არ არის უკვე განხორციელებული პროექტის წარმდგენი ფიზიკურ პირთა ჯგუფის მიერ რომელიმე (ეროვნული/საერთაშორისო) დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით და არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს.

ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან.

ასევე თანახმა ვარ, რომ კონკურსის მიზნებისთვის ჩვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ფონდის მიერ.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩვენი პროექტი 2026 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის საგრანტო კონკურსში.

პროექტის სათაური:	
პროექტის ხანგრძლივობა:	
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
თანადაფინანსება (ლარი)	
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	

ფიზიკურ პირთა ჯგუფი

№	სახელი, გვარი	პოზიცია პროექტში	ხელმოწერა
1		პროექტის ხელმძღვანელი/პროდიუსერი	
2		პროექტის რეჟისორი	
3		სცენარის ავტორი	

პარტნიორი ორგანიზაცია

სრული სახელწოდება			
მისამართი			
ტელეფონი		ელ. ფოსტა	
ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი		ხელმოწერა	
			ბ.ა.